



N 21/489
22/02/2022

489-21-2-202202220931



მოქალაქე ილია სადღობელაშვილს
მეილი: foi+request-249-39xxxxxx@xxxxxx.xx

ბატონო ილია,

თქვენი 2022 წლის 07 თებერვლის **N 278** წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ 2021 წლის ინფორმაციის მიწოდებას, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი დღეის მდგომარეობით ხორციელდება საქართველოში შვიდი ავტომატური სადგურის საშუალებით ხორციელდება, რომელთა განთავსების ადგილებია: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. 105; ქ.თბილისი, ყაზბეგის გამზ. ვ.გომიაშვილის სახელობის განახლებული პარკი; ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, I მკრ-ნი, მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია; ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 73ა, "ილიას ბაღი"; ქ.რუსთავი, ბათუმის ქ. 19; ქ.ქუთაისი, ლადო ასათიანის ქ. 98 და ქ.ბათუმი, აბუსერიძის ქუჩა N1.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატურ სადგურზე ისაზღვრება შემდეგი დამაბინძურებლების კონცენტრაციები: მყარი ნაწილაკები (PM10, PM2,5), აზოტის ოქსიდები (NO, NOx, NO2), გოგირდის დიოქსიდი (SO2), ნახშირჟანგი (CO) და ოზონი (O3).

ასევე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება საქართველოში 2018 წლის 1 აგვისტოდან ხდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის N383 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით.

ამასთანავე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით 2015 წლიდან საქართველოს 25 ქალაქში ოთხ ეტაპად (მარტი, ივნისი, სექტემბერი, ნოემბერი) ატარებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდიკატორულ გაზომვებს, ბენზოლის, აზოტის დიოქსიდისა და ოზონის კონცენტრაციების განსასაზღვად.

ამ დროისთვის არსებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ მონაცემების ნახვა შესაძლებელია ჰაერის ხარისხის პორტალზე [http://air.gov.ge/](http://air.gov.ge). ანგარიშების გვერდზე სასურველი თვის მითითებით შესაძლებელია სადგურების მონაცემთა ჩამოტვირთვა. ამასთანავე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს საინფორმაციო წელიწდეულებს „საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების

წელიწდეული“ და ბიულეტენებს "მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ", რომელშიც შეგიძლიათ იხილოთ მონაცემები ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ თვეებისა და ქალაქების მიხედვით (<http://nea.gov.ge>).

პატივისცემით,

ანდრო ასლანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

